გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

№ 42
(11 601)

4 – 6 ივნისი, 2002 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



## მსოფლიო XVII ჩემპიონატი ფეხბურთში

# გუშინ...

ხორვატია – მექსიკა 0-1

ბრაზილია – თურქეთი 2-1

იტალია – ეკვადორი 2-0

იხ. მე-5 გვერდი

## მიხეილ მჭედლიშვილი – ახალი ჩემპიონი, ახალი დიდოსტატი...

დასრულდა საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა 62-ე ჩემპიონატი. ბოლო ტურის წინ შეჯიბრებას 8,5-8,5 ქულით მჭედლიშვილი და იზორია ლიდერობდნენ. გუშინ გამართულ ბოლო ტურში იზორიამ ბაადურ ჯობავასთან წააგო, მიხეილ მჭედლიშვილმა ყაიმით დაასრულა შეხვედრა მიხეილ კეკელიძესთან, დააგროვა 9 ქულა და ქვეყნის ჩემპიონის ტიტული დაისაკუთრა. მანვე დიდოსტატის ნორმატივი შეასრულა და ფიდე უახლოეს კონგრესზე ამ წოდებას მიანიჭებს. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს ის, რომ მჭედლიშვილმა მთელი ტურნირი დაუმარცხებლად განვლო. 8,5 ქულით მეორე ადგილზე გავიდა ზვიად იზორია, მესამე პრიზიორი რვა ქულით თამაზ გელაშვილი გახდა.

***გაგაცნობთ ბოლო ორი ტურის შედეგებს. XII ტური:*** მგელაძე — მათნაძე 0:1, გურგენიძე — ჯობავა 0,5:0,5, იზორია — შენგელია 1:0, ფანცულაია — ლობჟანიძე 0:1, გელაშვილი — მჭედლიშვილი 0:1, კეკელიძე — სტურუა 0,5:0,5.

***XIII ტური:*** მჭედლიშვილი — კეკელიძე 0,5:0,5, ლობჟანიძე — გელაშვილი 0:1, შენგელია — ფანცულაია 0:1, ჯობავა — იზორია 1:0, მათნაძე — გურგენიძე 1:0, გაგუნაშვილი — მგელაძე 1:0.

## ევროპის ჩემპიონატზე...

ვარნაში მიმდინარეობს მოჭადრაკე ქალთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც ქართველებიც მონაწილეობენ. 6 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან: ნინო ხურციძე და ქეთევან არახამია-გრანტი, რომლებსაც 4,5-4,5 ქულა აქვთ.

მსოფლიოს ექსჩემპიონმა ნონა გაფრინდაშვილმა და გერმანიის სახელით მოასპარეზე ქეთინო კახიანმა 4-4 ქულა მოაგროვეს.

მაია ლომინეიშვილს 3,5 ქულა აქვს, თეა ლანჩავა-ბისბომს, რომელიც ნიდერლანდების სახელით ასპარეზობს — 2,5.

თენგიზ ჩოგანიძე

## გაზეთის დაბეჭდვის წინ: „დათვები" თბილისს კვლავ ესტუმრებიან

რუსეთის მორაგბეთა ნაკრებმა წარმატებით დაძლია მსოფლიო თასის 2003 წლის გათამაშების საკვალიფიკაციო ეტაპი. „დათვებმა" შინ სძლიეს ჰოლანდიის ნაკრებს დიდი ანგარიშით 65:3 და მოიპოვა უფლება შემოდგომაზე იასპარეზოს შესარჩევ ჯგუფში ირლანდიისა და საქართველოს ნაკრებებთან ერთად.

ამრიგად, 21 სექტემბერს რუსეთის ნაკრები ირლანდიის გუნდს ეთამაშება, ხოლო 5 ოქტომბერს ესტუმრება თბილისს. თუკი გავითვალისწინებთ, რომ ირლანდიის ნაკრები საკმაოდ ძლიერია და ჯგუფის უდავო ფავორიტად ითვლება, 5 ოქტომბრის თბილისური ბრძოლა „ბორჯღალოსნებს" და „დათვებს" შორის გაარკვევს მეორე ადგილის მფლობელს, რომელიც ავტომატურად მიიღებს მსოფლიოს თასის გათამაშების ფინალური ეტაპის საგზურს.

## ფეხბურთი ლოგიკური სპორტია! აფრიკასთან ფრთხილად!

ხმაურითა და სენსაციით დაიწყო XVII მსოფლიო ჩემპიონატი. ტურნირის უმთავრესი ფავორიტი, ჩემპიონი ფრანგები, დებიუტანტმა აფრიკელებმა გახსნის მატჩში მილიონობით მაყურებლის თვალწინ კორეის დედაქალაქში ბეჭებზე გააკრეს. გალების უბეში გამოზრდილმა სენეგალმა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონებს ყოყოჩობის სურვილი დაუკარგა. სენეგალის ნაკრების ფეხბურთელთა უმეტესობა, ხომ საფრანგეთის პირველი დივიზიონის კლუბებში თამაშობს. როცა „ლელოს" მკითხველებს ჩემპიონატის დებიუტანტი სენეგალის ნაკრები წარვუდგინეთ, ტექსტი ასე მთავრდებოდა: „ახალგაზრდა „სენეგალელმა ლომებმა" გალიჯეს თავიანთი აფრიკული გალია და სულაც არაა შესაშური, ვინც მათ წინ დახვდებათ"... და აი, რაც მოხდა ჩემპიონატის გახსნის დღეს, ყველამ კარგად იხილა. ფრანგები ზიდანის გარეშე, მართლაც სულ სხვა გუნდად წარმოგვიდგა, ინგლისურ პრემიერ ლიგაში გამობრძმედილმა ვარსკვლავებით სავსე ნაკრებმა, ვერაფრით მოარგო გასაღები აფრიკულ კლიტეს. სენეგალმა კამერუნელთა თორმეტი წლის წინანდელი გმირობა გაიმეორა. მაშინ კამერუნმა იმდროინდელი მსოფლიო ჩემპიონი არგენტინა დაამარცხა პირველ მატჩში და შემდგომ მეოთხედფინალსაც მიაღწია. სენეგალს მანამდე გრძელი გზა აქვს გასავლელი, მაგრამ თუ ჩემპიონატის საწყის, სამი დღის მატჩების შედეგებს კარგად დავაკვირდებით, შავი კონტინენტის ნებისმიერი ქვეყნის ნაკრებს აქვს ჩემპიონატში წინსვლის კარგი შანსი. აფრიკული ფეხბურთი დღითიდღე მძლავრდება და გასაკვირი აქ არაფერია.

ჩემპიონატის მაღალ ორგანიზაციულ დონეზე ბევრს არ ვილაპარაკებთ, ყველაფერს ორივე მასპინძელი ქვეყნის მოსახლეობის შრომის სიყვარული, შნო და ლაზათი ატყვია. აზიური ზაფხულით გამთბარი მსოფლიოს ჩემპიონატი ნელ-ნელა ძალას იკრებს, მონაწილეთა კლასი უდავოდ მაღალია, ტურნირს არც ვარსკვლავები აკლია, არც ლამაზი გოლები. აქ, კორეა – იაპონიაში ყველაფერია, რაც ფეხბურთს ეკადრება და ამშვენებს.

და ფავორიტები. A ჯგუფში, დამარცხების მიუხედავად, საფრანგეთი კვლავ ფავორიტია. დანიამ კი ჯგუფიდან გასვლის მეტად საჭირო სამი ქულა აართვა სამხრეთამერიკელებს, ოდესღაც მსოფლიოს ორგზის ჩემპიონებს – ურუგვაელებს.

B ჯგუფში პირველები, ალბათ ესპანელები იქნებიან, მეორეობისთვის კი სლავებსაც, სამხრეთამერიკელებს და აფრიკელებს გვარიანი ჭიდილი მოუწევთ.

(იხ. მე-4 გვ.)



იტალია - ეკვადორი

## დღეს, ხვალ, ზეგ...

| | | |
|---|---|---|
| 04.06 | ჩინეთი – კოსტა-რიკა. | 11.30 |
| | იაპონია – ბელგია | 14.00 |
| | კორეა – პოლონეთი | 16.30 |
| 05.06 | რუსეთი – ტუნისი | 11.30 |
| | აშშ – პორტუგალია | 14.30 |
| | გერმანია – ირლანდია | 16.30 |
| 06.06 | საფრანგეთი – ურუგვაი | 11.30 |
| | კამერუნი – ს. არაბეთი | 14.00 |
| | დანია – სენეგალი | 16.30 |

## რივალდომ სიმულანტობა აღიარა

ბრაზილია-თურქეთის მატჩის დამთავრების შემდეგ, სამხრეთამერიკელთა გუნდის ერთ-ერთმა ლიდერმა რივალდომ აღიარა, რომ მატჩის უკანასკნელ წუთებზე მიღებული „ტრავმა" სიმულაციის შედეგი იყო (!). შეგახსენებთ, რომ თურქმა ჰაკან უნსალმა მსაჯის სასტვენის შემდეგ ბურთი ბრაზილიელი ფეხბურთელის მისამართით დაარტყა. ბურთი რივალდოს იდაყვში მოხვდა, მან კი ხელები სახეში იტაცა და ძირს ისე დაეცა, გეგონებოდათ ნოკაუტში ჩავარდა. ამის გამო მსაჯმა უნსალი მოედნიდან გააძევა. ბრაზილიელმა თავისი საქციელი იმით გაამართლა, რომ უნსალი მანამდე ძალიან უხეშად თამაშობდა, მსაჯი ვერ ამჩნევდა და დამსახურებულადაც მიაღებინა წითელი ბარათი.

- **ხორვატია-მექსიკის შეხვედრის გმირმა და ერთადერთი გოლის გამტანმა კუატემოკა ბლანკომ განაცხადა, რომ გატანილი გოლი მან მიუძღვნა... ბებიას, რომელიც რამდენიმე დღის წინ გარდაიცვალა.**
- **სან-პაულოს** ციხის ადმინისტრაცია ისე იყო გართული ბრაზილია — თურქეთის მატჩის პირდაპირი ტრანსლაციის ყურებით, რომ ვერც კი გაიგეს, როგორ გაეპარათ ზონიდან... 17 პატიმარი.

## მონაწილე ქვეყნები, ჯგუფები, შედეგები...

| № | A ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | საფრანგეთი | | 0-1 | | | 0-1 | 0 |
| 2. | სენეგალი | 1-0 | | | | 1-0 | 3 |
| 3. | ურუგვაი | | | | 1-2 | 1-2 | 0 |
| 4. | დანია | | | 2-1 | | 2-1 | 3 |

| № | B ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | ესპანეთი | | 3-1 | | | 3-1 | 3 |
| 2. | სლოვენია | 1-3 | | | | 1-3 | 0 |
| 3. | პარაგვაი | | | | 2-2 | 2-2 | 1 |
| 4. | სამხ. აფრიკა | | | 2-2 | | 2-2 | 1 |

| № | C ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | ბრაზილია | | 2-1 | | | 2-1 | 3 |
| 2. | თურქეთი | 1-2 | | | | 1-2 | 0 |
| 3. | ჩინეთი | | | | | | |
| 4. | კოსტა-რიკა | | | | | | |

| № | D ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | სამხ.კორეა | | | | | | |
| 2. | პოლონეთი | | | | | | |
| 3. | აშშ | | | | | | |
| 4. | პორტუგალია | | | | | | |

| № | E ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | გერმანია | | 8-0 | | | 8-0 | 3 |
| 2. | საუდეთი | 0-8 | | | | 0-8 | 0 |
| 3. | ირლანდია | | | | 1-1 | 1-1 | 1 |
| 4. | კამერუნი | | | 1-1 | | 1-1 | 1 |

| № | F ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | არგენტინა | | 1-0 | | | 1-0 | 3 |
| 2. | ნიგერია | 0-1 | | | | 0-1 | 0 |
| 3. | ინგლისი | | | | 1-1 | 1-1 | 1 |
| 4. | შვედეთი | | | 1-1 | | 1-1 | 1 |

| № | G ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | იტალია | | 2-0 | | | 2-0 | 3 |
| 2. | ეკვადორი | 0-2 | | | | 0-2 | 0 |
| 3. | ხორვატია | | | | 0-1 | 0-1 | 0 |
| 4. | მექსიკა | | | 1-0 | | 1-0 | 3 |

| № | H ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | იაპონია | | | | | | |
| 2. | ბელგია | | | | | | |
| 3. | რუსეთი | | | | | | |
| 4. | ტუნისი | | | | | | |




## მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 2 წელიწადი და 2 თვე დარჩა




## ზამთრის მომავალ ოლიმპიურ თამაშებს 3 წელიწადი და 8 თვე გვაშორებს

**მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, საქართველო – ქართულ სპორტს!**

## არჩევანი სპორტსმენებსაც შეეხო

არასდროს, არც ერთ არჩევნებში ისე მობილიზებული და მოწადინებული არ ყოფილა ხალხი ხმის მიცემით განეხორციელებინა თავისი კონსტიტუციური უფლება, როგორც ეს გამოვლინდა გასულ კვირას გამართულ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში. პოლიტოლოგები და სოციოლოგები მიგვანიშნებენ, რომ ჩვენს ქვეყანაში გადაიდგა პირველი სერიოზული ნაბიჯი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების გზაზე.

პოლიტიკურ პარტიებს თავიანთ საარჩევნო სიებში ყოველთვის შეჰყავდათ ჩვენი ქვეყნის სახელოვანი სპორტსმენები, რასაც ამომრჩეველი ნდობით ეკიდებოდა. ასე იყო ამჯერადაც – ბევრ ჩვენს საამაყო სპორტსმენს დაუჭირა მხარი ამომრჩეველმა, რომელთაგან აბსოლუტური უმრავლესობა მოხვდნენ სწორედ იმ პარტიების სიაში, რომლებმაც, ვთქვათ, თბილისში, უკვე გადალახეს საკრებულოში თავიანთი წევრების გაყვანის ზღვარი.

„ლელოს" უახლოეს ნომერში წარმოგიდგენთ მათ ვინაობას.

## წოდების მინიჭება

**საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა ქვეყანაში სპორტის განვითარებისა და ახალგაზრდა თაობის აღზრდაში შეტანილი დიდი წვლილისათვის „საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკის" საპატიო წოდება მიანიჭა.**

**ივანე ჯავახიშვილს** – ქ. თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის სპორტული განყოფილების მთავარ სპეციალისტს;

**ვილი ხარაზოვს** – ქ. თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის კომპლექსური სკოლის მწვრთნელს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში;

**რევაზ ვამხოშვილს** – ტანვარჯიშის სახეობათა ოლიმპიური რეზერვების სპორტსკოლის მწვრთნელ-პედაგოგს.

## ზვიადს, ვერცხლის მედალი მოუგია!

„ლელოს" წინა ნომერში მკითხველს მოვუთხრეთ სამბოში მსოფლიოს ჩემპიონატში ჩვენი ათლეტის ზვიად წიკლაურის წარმატების შესახებ, რომელიც ერთადერთი აღმოჩნდა უსახსრობის გამო ჩემპიონატზე წარდგენილ საქართველოს არასრული გუნდიდან, რომელმაც საპრიზო ადგილი დაიკავა. ზვიადისთვის


ზვიად წიკლაური

ეს იყო დებიუტი, რადგან უკვე უკან დარჩა ახალგაზრდობის წლები და ახლა პირველად ჩაება დიდების ასპარეზობაში. ფინალში მისი მეტოქე იყო მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი, რუსეთელი მურად ხასანოვი. ცნობილი ფალავნისთვის ზვიად წიკლაურს ღირსეული მეტოქეობა გაუწევია, მაგრამ საბოლოოდ მაინც გამოცდილებამ თავისი გაიტანა და ქართველი ათლეტი ვერცხლის მედალს დასჯერდა. „ლელოს" წინა ნომერში დაშვებულია დასანანი შეცდომა – ზვიად წიკლაური მესამე პრიზიორადაა მოხსენიებული. მთავარია, წარმატება იყოს, უნებლიე შეცდომის გასწორება ყოველთვის შეიძლება. ახალ, საამაყო გამარჯვებებს ვუსურვებთ ზვიადს!

ცურვა. თბილისის ღია ჩემპიონატი

## მხოლოდ ტექნიკური შედეგები

***გოგონები. თავისუფალი სტილი – 50 მ:*** ნ. ფილინა (ბაქო) – 29,5, ლ. ხატიაშვილი – 31,0, ნ. ხალილოვა (ორივე – თბ) – 32,2; 100 მ: ხატიაშვილი – 1.064, ხალილოვა (ბაქო) – 1. 11, 1, ნ. ბუხრიკიძე (თბ) – 1.19,0. ***გულაღმა ცურვა. 50 მ:*** თევდორაძე – 37,1, სახელაშვილი – 41,6, ნ. ჭულულიძე (თბ) – 44,4; ***100 მ:*** თევდორაძე – 1.22,6, სახელაშვილი – 1.31,5, ალიევა – 1.46,9; ***ბატერფლაი. 50 მ:*** ხალილოვა – 36,0, ნ. ტრაპაიძე – 37,9, ა. გოდერძიშვილი (ორივე – თბ) – 43,5; ***ბრასი. 100 მ:*** ნ. ფილინა (ბაქო) – 1.16,7, ა. სალნიკოვა – 1.20,5, ნ. დავითაშვილი (ორივე – თბ) – 1.29,7; ***კომპლექსური ცურვა. 200 მ:*** ფილინა – 2.39,2, სალნიკოვა – 2.39,6, ხატიაშვილი – 2.53,3. ***ბიჭები. თავისუფალი სტილი. 50 მ:*** ლ. ნიკოლაიშვილი – 25,9, ა. მოსეშვილი (ორივე – თბ) – 26,1, ს. დიაჩკოვი (ბაქო) – 26,4; ***100 მ:*** მოსეშვილი – 56,5, დიაჩკოვი – 56,8, გ. სლივინი (თბ) – 57,9; ***1500 მ:*** ლ. ბუზალაძე – 17.58,0, ი. რევიშვილი – 18,25,5, გ. ჩიმაკაძე (სამივე – თბ) – 21,18,0; ***გულაღმა ცურვა. 50 მ:*** ო. ფეიქრიშვილი – (თბ) – 29,9, ო. სამედოვი (ბაქო) – 32,1, გ. ტრაპაიძე (თბ) – 33,1; ***100 მ:*** ფეიქრიშვილი – 1.03,4, გ. ჩიჩელაშვილი – 1.05.9, მ. ჭელიძე (სამივე – თბ) – 1.06,3; ***ბრასი. 100 მ:*** ი. ლექვთაძე – 1.10,7, გ. ვეფხვაძე – 1.12,4, ა. გოგათაძე (სამივე – თბ.) – 1.29,7; ***200 მ:*** ლექვთაძე – 2.34,0, ო. აბდალაძე – 2.41,1, გ. ტრაპაიძე (სამივე – თბ) – 2.43,4; ***ბატერფლაი. 50 მ:*** ხომასურიძე – 26,6, დიაჩკოვი – 27,7, ზ. ხასაია (თბ) – 31,6; ***200 მ:*** ხომასურიძე – 2.15,2, გ. ჩიმაკაძე – 3.03,4, თ. თევზაძე (სამივე – თბ) – 3.13,7; ***კომპლექსური ცურვა. 200 მ:*** ხომასურიძე – 2.22,0, აბდალაძე – 2.27,2, სამედოვი – 2.35,3.

შეჯიბრება მიეძღვნა საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს. მონაწილეობდა 1985 და შემდეგ წლებში დაბადებული თბილისელი, ბაქოელი, გორელი და რუსთაველი მოცურავეები. გათამაშდა სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ლუკა იოაკიმიდის ხსოვნის პრიზები.

## არდაგან-ყარსის ნაკრები ახალციხეში



საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს, 26 მაისს, ახალციხეს ეწვია თურქეთის (არდაგან-ყარსის) თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრები გუნდი, მესხეთელებთან ამხანაგურ პირად პირველობაში მონაწილეობისთვის. ყველა ფინალური ორთაბრძოლა დასრულდა ქართველთა გამარჯვებით. ***35 კგ:*** 1. დიმიტრი მუმლაძე, 2.ათბაში ილატი; ***38 კგ:*** 1. თორნიკე როსტიაშვილი, 2. ხელჩუკ ილმაზი; ***42 კგ:*** 1. ბექა ბექაური, 2. გვექმან დოლანი; ***46 კგ:*** 1. ირაკლი აფრიამაშვილი, 2. ულუ ჩელიქი; ***50 კგ:*** 1. ქერიმ ქუშეთმერი, 2. დავით ლომიძე; ***53 კგ:*** 1. ლადო დოლიძე, 2. მურად არაბული (ქართველი, წარმოშობის თურქი); ***63 კგ:*** 1. გაგა სამხარაძე, 2. იბრაჰიმ ქემეთმერი.

საპრიზო ადგილზე გასული მოჭიდავეები სიგელებით და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვა საქართველოს „წითელი ჯვრის" საზოგადოების გენერალურმა მდივანმა მამუკა ცქიტიშვილმა.

**ზაზა ჩილინგარაშვილი,**
ახალციხე

## ლიხს იქით და ლიხს აქეთ...

## ახალგაზრდული თამაშები ხობში

**საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ, ხობის რაიონის ახალგაზრდულ სპორტულ თამაშებში ხობის პირველი საშუალო სკოლის კალათბურთელი გოგონები და ვაჟები პირველობდნენ, მათივე გამარჯვებით დამთავრდა შეჯიბრება ფეხბურთში (სკოლის დირექტორი ლადა თათარიშვილი, ფიზ-აღზრდის მასწავლებლები ლაშა სიჭინავა და კობა თუთბერიძე). ჭადრაკში პირველი-მეორე ადგილები გაიყვეს ხობის მეორე საშუალო სკოლელებმა ლაშა გერგაიამ და ომარ გელაშვილმა.**

**ქვემო ქვალონის გამგებელმა ზურაბ ლაგვილავამ და საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა რომან მორგოშიამ, ღია ცის ქვეშ საგანგებოდ მოწყობილ ნახერხმოყრილ არენაზე ნამდვილ ზეიმად აქციეს ღია პირველობა ქართულ ჭიდაობაში, სადაც ხობელებთან ერთად გამარჯვებას ეცილებოდნენ ფოთელი, ზუგდიდელი, ვანელი და აბაშელი მოჭიდავეები. 110 მონაწილეთა შორის იყვნენ საქართველოსა და ევროპის პირველობის ჩემპიონები და პრიზიორები (სამბო, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა). თავიანთ წონით კატეგორიაში ჩემპიონები გახდნენ: ბექა დიაკონიძე, ლაშა ფურცელაძე (ვანი), ირაკლი სანაია, გიორგი ჩაჩიბაია (ზუგდიდი), თემურ ღვანია, ნუკრი ბერაია, ნიკო კუცია, ლევან მიქაბერიძე, ირაკლი ჯიქიძე (ფოთი), ნიკა გრიგოლია, აკაკი ლორჩოშვილი, სანდრო მორგოშია, ალექსანდრე ალანია, მიხეილ მორგოშია, ალექსანდრე კვარაცხელია (ქვემო ქვალონი) და ლევან ესებუა (ხობი).**

**განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია აბსოლუტურმა პირველობამ. ერევნელმა ბაგრატ ბაღდასარიანმა, რომელიც მიხეილ მორგოშიას სტუმრობდა, ფინალურ შეხვედრაში დაძაბული შეხვედრა თავად მიხეილს მოუგო და დაეუფლა საპატიო პრიზს.**

**ანზორ სანიკიძე,**
ხობის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე

## ჯიუ-ჯიცუ თბილისის ღია ჩემპიონატი



აღმოსავლეთ ევროპის ჯიუ-ჯიცუს საზოგადოების ცენტრი თბილისია, რადგან მისი ცნობილი პრეზიდენტი ქართველი სპეციალისტი ავთანდილ მიქაძეა. თვით ეს ფაქტი კი იმან განაპირობა, რომ ჩვენში აღმოსავლურმა ორთაბრძოლებმა, მათ შორის ჯიუ-ჯიცუმ ფართოდ მოიკიდა ფეხი. თბილისის ღია ჩემპიონატი ამ სახეობაში, სწორედ ზემოხსენებული ორგანიზაციის თაოსნობით გაიმართა. მონაწილეობდა საქართველოს ჯიუ-ჯიცუს ფედერაციის ნაკრები, რომელიც ძირითადად „ლოკომოტივის" წარმომადგენლებითაა დაკომპლექტებული (ხელმძღვანელები თამაზ ჯანგირაშვილი და ვახტანგ ხარხელაური), საქართველოს ხაბკიდოს ფედერაციის ნაკრები და სტუმრები აზერბაიჯანიდან. აშკარა უპირატესობით პირველობა მოიპოვა ჩვენმა ჯიუ-ჯიცუს ნაკრებმა, მეორე იყო აზერბაიჯანის, მესამე – ხაბკიდოს გუნდი.

გამარჯვებული სპორტსმენები ისპარეზებენ აღმოსავლეთ ევროპის ჩემპიონატზე, რომელიც სავარაუდოდ შემოდგომაზე იგეგმება ბაქოში.

თბილისის ღია ჩემპიონატის მსაჯთა კოლეგიას უძღვებოდა აღმოსავლეთ ევროპის ჯიუ-ჯიცუს საზოგადოების გენერალური მდივანი ვახტანგ ხარხელაური. მონაწილეობდა ასამდე სპორტსმენი.

***გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს. 8 წლამდე მოზარდებისთვის*** შეჯიბრება ჩატარდა მხოლოდ ***25 კგ-მდე წონით კატეგორიაში.*** ადგილები აქ ასე განაწილდა: 1. ავთანდილ მზარეულიშვილი (თბ), 2. მამედ მირზიზადე (აზ), 3. გივი მიქაძე (თბ), და გულუ ხალილოვი (აზ); ***9 წლიანები და უფროსები. 27 კგ:*** 1. გიორგი ბროლაშვილი, 2. ბექა ბერიანიძე, 3. გიორგი ჩოჩინიძე და ლაშა პატაშური (ოთხივე – თბ); ***30 კგ:*** 1. დავით ფურცელაძე, 2. გიორგი გონაძე, 3. გურამ კვერცხიშვილი და ლადო მეავანაძე, (ოთხივე – თბ), ***35 კგ:*** 1. ოთარ ხუციშვილი, 2. კობა გაზდელიანი, 3. ნიკა წერეთელი და ლევან მეავანაძე (ოთხივე – თბ); ***40 კგ:*** 1. მიხეილ კირაკოსიანი, 2. ზაზა უმფრიანი, 3. მიხეილ რობაქიძე, და ნიკა გამილაღდიშვილი (ოთხივე – თბ); ***45 კგ:*** 1. ლაშა გიორგობიანი (თბ), 2. სახრაბ ახუნდოვი (აზ), 3. სანდრო ბარამიშვილი (თბ) და ვუგარ აბდულაევი (აზ); ***50 კგ.*** 1. ირაკლი მაღრაძე, 2. როლანდ ყოჩიშვილი, 3. ოთარ ტაბატაძე (სამივე – თბ) და რასიმ მუსტაფაევი (აზ). ***55 კგ:*** 1. დავით ჯვარშეიშვილი, 2. ლევან ქლენტი (ორივე – თბ), 3. ხალილ ახუნდოვი და ხაიალ ხადიევი (ორივე – ახ); ***60 კგ:*** 1. ავთანდილ ცინცაძე, 2. ლევან ბუკია (ორივე – თბ), 3. რამინ ევინლი და ელნურ აბასოვი (ორივე – აზ); 70 კგ: 1. ზურაბ ნადირიანი, 2. გიგა სოსელია, 3. გიორგი სახოკია (თბ) და ჯავიდ ჯაფაროვი (აზ); ***დიდები 18 წლის ზევით. 69 კგ:*** 1. ზურაბ ბაშარული (თბ), 2. ზაურ ბაბაევი, 3. ელჩინ გულიევი და ელმინ ჰაბიბოვი (სამივე – აზერბ); ***77 კგ:*** 1. ავგან მირზოევი, 2. ნაზიმ სამედოვი (ორივე – აზ); ***85 კგ:*** 1. ლევან გოგოლაური (თბ), 2. რუსლან ეფენდიევი (აზ), 3. ვახტანგ ჯიხვაშვილი (თბ); ***აბსოლუტური:*** 1. ზაურ ისლამოვი (აზ), 2. ლევან გოგილაური (თბ). ***გოგონები 14 წლამდე. 41 კგ:*** 1. ნინო ბიჩინაშვილი, 2. სალომე ექიზაშვილი (ორივე – თბ); ***48 კგ:*** 1. თამუნა ბიჩინაშვილი, 2. ნაია ვეშაგური (ორივე – თბ).

***საუკეთესო ტექნიკისთვის*** დაჯილდოვდა ავთანდილ ცინცაძე (60 კგ). რაინდული შემართებისთვის პრიზები გადაეცათ: უჩა მაკალათიას (55), გიორგი ქორქიკაშვილს (60), გიორგი პაპუჩელაშვილს (40), ზურაბ გოგავას (35).

კურიოზები გნებავთ? ა, ბატონო!

## როგორ აიყვანეს „მძევლად" საქართველოს მორაგბეთა ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი

რაგბის ქართველი გულშემატკივრები კარგად იცნობენ გურამ მოდებაძეს, რომელიც წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს მორაგბეთა ნაკრებს.

„ბორჯღალოსნები" ერთხელ უკვე მონაწილეობდნენ მსოფლიო თასის გათამაშების შესარჩევ ეტაპზე (წლევანდელს ქართველებს მეორედ უწევთ ბრძოლა, ამჯერად ფრანგი სპეციალისტის – კლოდ სორელის თავკაცობით). მაშინ ქართველმა მორაგბეებმა ფინალში გასვლა ვერ მოახერხეს ტონგას ნაკრებთან პრინციპულ შეხვედრაში დამარცხების გამო. ბევრმა არც კი იცის, რომ ტონგასთან მატჩამდე მოხდა კურიოზული შემთხვევა.

– ვიდრე აფრიკის ამ ქვეყანას ვსტუმრებოდნენ, ქართველმა მორაგბეებმა ერთკვირიანი საწვრთნელი შეკრება ფიჯიში გაიარეს. გუნდი ქალაქ ნედის ერთ-ერთ სასტუმროში დაბინავდა, – იხსენებს გურამ მოდებაძე, – შეკრების ბოლო დღეს აღმოჩნდა, რომ სასტუმროს ხარჯებს ვერ ვისტუმრებდით, რადგან საქართველოდან ფულის გადმორიცხვა გვიანდებოდა, გუნდი კი ტონგასთან მატჩის ჩასატარებლად უნდა გამგზავრებულიყო.

სასტუმროს დირექციამ სტუმრებს შესთავაზა, რომ გარანტის სახით ერთი პიროვნება დაეტოვებინათ, გუნდი კი ტონგაში გამგზავრებულიყო.

– იმ დროს გუნდის კონსულტანტად ახალი დანიშნული იყო საქართველოს ნაკრების ამჟამინდელი მთავარი მწვრთნელი კლოდ სორელი. გადაწყდა, რომ მძევლად მე დავრჩებოდი. სასტუმროს დირექციამ პირობა დადო, რომ არაფერს მომაკლებდნენ. მეტი რა მინდოდა. ქართველი კაცის ქეიფის ამბავი ხომ იცით? შევუბერე და რა შევუბერე. სამი დღის განმავლობაში რას აღარ მივირთმევდი. ფიჯელებმა ინანეს ჩემი დატოვება და ლამის იქით მეხვეწებოდნენ, ფული აღარ გვინდა, ოღონდ თავი დაგვანებეო (იცინის). თანხის გადმორიცხვიდან ორ დღეში გუნდს შევუერთდი.

● ***ბატონო გურამ, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტის დატოვების შემდეგ, მცირე ხნით უნივერსიტეტის გუნდს ხელმძღვანელობდით, უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში კი, საერთოდ, მიატოვეთ რაგბი. რა იყო ამის მიზეზი?***

– უნივერსიტეტის გუნდში არ იყო კარგი სამუშაო პირობები, რამაც გული ამიცრუა.

● ***ხომ არ გქონიათ მიწვევა საქართველოს ან საზღვარგარეთის რომელიმე გუნდიდან?***

– ისრაელის რაგბის ფედერაციის პრეზიდენტი შემეხმიანა და პირობებით დაინტერესდა. ჩემი წინადადებების გაგზავნის შემდეგ იქიდან ინფორმაცია აღარ მიმიღია.

● ***ახლა რას აპირებთ?***

– ბავშვთა გუნდს ვუხელმძღვანელებ. ბავშვთა რაგბს დიდი ყურადღება სჭირდება, რათა ტრადიციების ღირსეული გამგრძელებლები აღიზარდონ.

**თენგიზ ჩოგანიძე**





# მზია ჯუღელიდან — უსასრულობისაკენ

გასული საუკუნის 60-იანი წლების მეორე ნახევრიდან მოყოლებული, საბჭოთა სპორტი და მისი ერთ-ერთი საიმედო დასაყრდენი საქართველოს სპორტი, ახალი აღმავლობის გზას დაადგა. უკვე გადაწყვეტილი იყო საბჭოთა სპორტული ინდუსტრიის შექმნა, ახალ რელსებზე გადასვლას კი მძლავრი სისტემის შექმნა უნდა დადებოდა საფუძვლად. სწორედ მაშინ გაჩნდა სიახლე – გაიხსნა უმაღლესი დაოსტატების სპორტული სკოლები. თბილისში ერთ-ერთი ასეთი პირველი სკოლის დირექტორად კონსტანტინე გონაძე დანიშნეს. ტანვარჯიში გაერთიანდა ამ სკოლაში და უფროს მწვრთნელად მზია ჯუღელი მიიწვიეს. მაშინ მეტწილად ასე იყო – ვინც ასეთ თანამდებობას იკავებდა, ნაკრების ხელმძღვანელობაც უნდა გაეწია. მერე ამ სკოლაში გონაძე ნინო დუმბაძემ შეცვალა.

ქალბატონ მზიას მოვუსმინოთ: „ერთ დღეს შინ მირეკავენ, სასწრაფოდ მობრძანდით, გიორგი სიხარულიძე გიბარებთო. გამიკვირდა, მიზეზი არ ვიცოდი. მაგრამ მანამდე ნამყოფი ვიყავი ცენტრალურ კომიტეტში ფატი დუმბაძესთან და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან გივი ჯავახიშვილთან. გიორგი სიხარულიძის მოადგილეობას მთავაზობდნენ. მპირდებოდნენ ბინას, მანქანას, მე უკვე ყველაფერი მქონდა. „ვოლგა" ჯავახიშვილის მოადგილემ მიტროფანე კუჭავამ მომცა. უბნება: „გადავწყვიტეთ ცალკე გავხსნათ უმაღლესი დაოსტატების სპეციალიზებული სკოლა ტანვარჯიშში". მეუღლეს დაველაპარაკები-მეთქი, – ვუთხარი. ბატონმა გიორგიმ შოთა ახვლედიანს გადახედა, მერე გაშლილი თითებით ხელი სახეზე აიფარა და იქიდან გამომხედა, ხმამაღლა თქვა: „ეს საქმე გადაწყვეტილია". მეორე დღესვე ბრძანება დაიწერა. ეს მოხდა უკვე 1971 წელს".

მოკლედ, ქალბატონი მზია მუშაობას შეუდგა. ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში მხარში დაუდგა მეუღლე, გამოცდილი მუშაკი – არკადი არხანგელსკი. გაიხსნა ჯგუფები არა მხოლოდ თბილისში, არამედ სოხუმში, ბათუმში, ქუთაისში, ზესტაფონში, ყველგან, სადაც ტანვარჯიში დანერგილი იყო და საქმეს სპეციალისტები განაგებდნენ. მერე იყო შეკრებები, შეჯიბრებები, წარმატებები... ნაკრები ორჯერად წვრთნაზე გადავიდა და თბილისის სპორტკომიტეტის მიერ შეთავაზებული დარბაზი აღარ აკმაყოფილებდა მოთხოვნებს, მით უფრო, სპორტსმენებს კვებაც იქვე უნდა მიეღოთ და ეცხოვრათ კიდეც. ასე დადგა დღის წესრიგში ახალი ბაზის მშენებლობის საკითხი. გადაწყდა სანაპიროზე სამსართულიანი შენობის აგება, რომელსაც სასტუმრო, კვების ბლოკი, საუნა, სამედიცინო და მეთოდური კაბინეტიც ექნებოდა. ქალაქის არქიტექტორმა, ცეკამ და ტეკამ მწვანე გზა მისცა ჩანაფიქრის განხორციელებას. თანხები სპორტლოტოდანაც გამოიყო.

სკოლის ადმინისტრაცია მშენებარე ობიექტის მიმდებარე საცურაო აუზის შენობაში შესახლდა დროებით ვლადიმერ გოიაშვილის ხელშეწყობით. ეს გაჭირვებისა იყო, მაგრამ, რაც მთავარია – ახალი ბაზის მშენებლობა მზიას თვალწინ მიმდინარეობდა, – როგორც კი შენიშნავდა ამწე არ მუშაობდა, უმალვე გადაეჭრებოდა მშენებლებს, დაუცაცხანებდა, მოდუნების საშუალებას არ აძლევდა. მერე ქალაქის საბჭოში თათბირებზეც დაიწყო სიარული, მშენებლობისთვის მასალების შეუფერხებლად მიწოდების საკითხს ოპერატიულად აგვარებდა. ყოფილა შემთხვევა თათბირზე უთქვამთ, ესა და ეს მასალა დარბაზის მშენებლობაზე გაიგზავნაო. მზია სიცრუეს არავის აპატიებდა, „ჩვენამდის არ მოუღწევიაო" – მიახლიდა. ყველაფერს აკონტროლებდა. მერე ქალაქის სამშენებლო სამმართველოს უფროს მ. კირკიტაძეს ხშირად უთქვამს: „ეს დარბაზი მზიას ცრემლებითაა აშენებულიო". დღესაც ბევრი იხსენებს, ერთხელ როგორ მიიტანეს კიბის საფეხურები და როგორ გამოენთო ქალბატონი მზია მანქანას, რომელიც უკან გაბრუნდა და კიბეები სადღაც სხვაგან მიჰქონდა. ამის შემდეგ მშენებლები ჩვეულ მანიპულაციებს ველარ ბედავდნენ, რამაც თავის მხრივ დააჩქარა კიდეც ბაზის მშენებლობის დამთავრება.



*მარცხნიდან: ირაკლი ბაცელაშვილი, გრიგოლ მამარდაშვილი, მზია ჯუღელი, მიხეილ აბულაძე (განათლების მინისტრის მოადგილე), გიორგი ჭილაია, მიხეილ იმნაძე.*

არ დავთანხმდი. ყველას ვეუბნებოდი, რომ მყავს მეუღლე, შვილი და მათთვის მსურდა მეტი დრო დამეთმო"...

მაგრამ მზია იმ პერიოდში ისედაც მოუცლელი იყო. უამრავი საქმე ჰქონდა, როგორც საქალაქო საბჭოს დეპუტატს, სპორტკომიტეტის პრეზიდიუმის წევრს.

გიორგი სიხარულიძემ იმისთვის დაიბარა, გაეგო თუ რატომ უთხრა მზიამ რესპუბლიკის ხელმძღვანელებს უარი შეთავაზებულ თანამდებობაზე. იგივე პასუხი მიიღო სპორტკომიტეტის თავმჯდომარემაც. ამასობაში მზია სსრ კავშირის სპორტკომიტეტმა საკავშირო ნაკრების უფროს მწვრთნელად დანიშნა საქართველოში..

„ისევ დამიბარა სიხარულიძემ. კაბინეტში მასთან ერთად დამხვდა შოთა ახვლედიანი. სიხარულიძე მე-

**თენგიზ ბაჩეჩილაძე**

*დასაწყისი იხილეთ „ლელო" №40 (2001)... 39 (2002).*

*გაგრძელება იქნება*

# ბავშვთა ფეხბურთი







კარგია, როცა ფეხბურთის ცოცხალ ლეგენდებს ღირსეულ პატივს მიაგებენ და ახალ თაობას მათთან შეხვედრის შესაძლებლობა ეძლევა. წლეულს ვლადიმერ ბარქაიას დაბადებიდან 65 წლისთავი უსრულდება. სპორტკლუბმა „გეორგიამ" (დირექტორი ქანი ლექავა) „ფეიქრის" სტადიონზე ჩაატარა ვ. ბარქაიას თასის გათამაშება ორ (1989-90 და 1988) ასაკობრივ ჯგუფში. ასპარეზობაში ჩაება 20 გუნდი.

უფროს ასაკში „ნორჩი დინამოელის" მეორე გუნდმა (მწვრთნელი ოლეგ იმნაძე), ფინალში მატჩის 0-0 ლამთავრების შემდეგ, პენალტების სერიით 5:4 მოუგო თანაკლუბელთა პირველ გუნდსა და თასს დაეუფლა.

უმცროს ასაკში „შევარდენმა" (მწვრთნელი ვაჟა ხუბეჯიშვილი) 2-1 აჯობა „XXI საუკუნის" გუნდს (მწვრთნელი გიორგი ბუაძე), მესამე ადგილზე გავიდა ასკ-ას გუნდი, რომელმაც მოუგო „მერანს" 3-1.

ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაში შედიოდა თვით ვ. ბარქაია, საუკეთესო მეკარედ დაასახელა სოსო ბრეგვაძე, მცველად — გიორგი ფაილოძე (ორივე — „შევარდენი"), ნახევარმცველად — ვასილ ფურცელაძე („მერანი"), თავდამსხმელად გ. ჯაკობია („XXI საუკუნე"), ტექნიკურ ფეხბურთელად — მურმან კარმელია (ასკ), პერსპექტიულ მოთამაშედ — კახა მაისაია (თემქა), რომელსაც ჯილდო ვ. ბარქაიამ გადასცა.







# საღამოს სკოლელები — უძლიერესები!

გლდანი — ნაძალადევის რაიონის გამგეობის, ამავე რაიონის ახალგაზრდობის საქალაქო სამსახურის, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის თაოსნობით და ხელბურთის სპეციალიზებული სკოლის ხელშეწყობით ჩატარდა ღია პირველობა მინიფეხბურთში (მთავარი მსაჯი ვლადიმერ ხაჩატურიანი).

პირველი ადგილი დაიკავა საღამოს სწავლების №1 სკოლამ (დირექტორი გულიკო გერსამია), მეორე იყო 141-ე სკოლა (ორივე გლდანი-ნაძალადევის რაიონი). მესამე — 166-ე სკოლამ (დიდუბე — ჩუღურეთის რაიონი) — დირექტორები: რუსუდან ყურშავიშვილი და აკაკი ელიაური.

№1 საღამოს სკოლის გუნდში თამაშობდნენ: ლ. ჯიოშვილი, ლ. ჰულუხაძე, ლ. ვარამიშვილი, გ. მაისაშვილი, გ. ოსიტაშვილი, მ. ბუსხრიკიძე, მ. მაჭარაშვილი, რ. გულდამაშვილი, ი. სისორდია, რ. ხოსიაშვილი (სპორტსკოლის დირექტორი დემურ ჰაფოძე, მწვრთნელი იუზა წილოსანი).

***(გამარჯვებული გუნდის ფოტო იხ. მე-4 გვერდზე)***



# საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში



## რეგიონული ლიგა

### აღმოსავლეთის ზონა, XXXV ტური

იბერია — ზოოვეტი 3-0
ჯავახი — ჭაბუკიანი 0-3
დინამო3 — ვიტ ჯორჯია2 2-0
ცხუმი — თბილისი 3-0
გორდა2 — მაუდი 1-2
კრწანისი — მესხეთი 2-3
მრეტები — აკადემია 0-1
მერანი3 — ალაზანი 0-3
ოლიმპიკი — მცხეთა 0-2

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| მცხეთა | 33 | 25 | 6 | 2 | 72-13 | 81 |
| იბერია | 33 | 24 | 2 | 7 | 90-41 | 74 |
| მაუდი | 34 | 23 | 5 | 6 | 57-31 | 74 |
| ალაზანი | 33 | 22 | 4 | 7 | 77-29 | 71 |
| ჭაბუკიანი | 33 | 18 | 9 | 6 | 62-29 | 63 |
| ზოოვეტი | 33 | 20 | 2 | 11 | 63-37 | 62 |
| ცხუმი | 33 | 18 | 5 | 10 | 67-29 | 59 |
| ვიტჯორჯია2 | 33 | 17 | 7 | 9 | 70-34 | 58 |
| ოლიმპიკი | 33 | 16 | 6 | 11 | 64-41 | 54 |
| მესხეთი | 33 | 17 | 2 | 14 | 47-45 | 53 |
| დინამო3 | 33 | 13 | 8 | 12 | 50-41 | 47 |
| აკადემია | 33 | 13 | 8 | 12 | 47-47 | 47 |
| ლიახვი | 33 | 12 | 3 | 18 | 43-62 | 42 |
| კრწანისი | 33 | 9 | 4 | 20 | 43-68 | 31 |
| გორდა2 | 33 | 7 | 9 | 17 | 41-55 | 30 |
| მერანი3 | 34 | 5 | 4 | 25 | 24-88 | 19 |
| თბილისი | 33 | 4 | 6 | 23 | 34-98 | 18 |
| მრეტები | 34 | 3 | 6 | 25 | 29-71 | 15 |
| ჯავახი | 33 | 0 | 1 | 32 | 17-138 | 1 |

### დასავლეთის ზონა, XXXV ტური

სალხინო საირმე 3-0
ლუკა — სქური 0-1
მალაროელი — კოლხეთი2 1-0
გზები — ინტერი 1-1
ეგრისი — დინამო2 3-0
ოკრიბა — მერცხალი 1-3
დინამო (ზ) — დინამო (სოხ) 3-0
მეტალურგი2 — სამეგრელო 4-1
გურია2 — სულორი 2-3
ჩიხურა — საპოვნელა (6.06)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სულორი | 35 | 29 | 1 | 5 | 85-34 | 88 |
| საპოვნელა | 34 | 25 | 5 | 4 | 101-33 | 80 |
| დინამო (ზ) | 34 | 25 | 4 | 5 | 79-33 | 79 |
| მერცხალი | 33 | 25 | 4 | 4 | 71-20 | 79 |
| მალაროელი | 35 | 24 | 1 | 10 | 79-43 | 73 |
| გურია2 | 35 | 18 | 4 | 13 | 81-46 | 58 |
| სქური | 35 | 14 | 9 | 12 | 52-52 | 51 |
| ინტერი | 35 | 14 | 7 | 14 | 49-50 | 49 |
| კოლხეთი2 | 34 | 13 | 10 | 12 | 46-38 | 49 |
| სალხინო | 35 | 15 | 3 | 17 | 55-63 | 48 |
| ჩიხურა | 33 | 13 | 3 | 17 | 39-62 | 42 |
| დინამო2 | 35 | 12 | 4 | 19 | 36-60 | 40 |
| ეგრისი | 35 | 12 | 3 | 20 | 53-59 | 39 |
| ლუკა | 34 | 11 | 5 | 18 | 44-72 | 38 |
| საირმე | 35 | 11 | 3 | 21 | 34-57 | 36 |
| გზები | 35 | 10 | 6 | 19 | 39-57 | 36 |
| მეტალურგი2 | 34 | 9 | 6 | 19 | 40-59 | 33 |
| ოკრიბა | 35 | 10 | 2 | 23 | 39-78 | 32 |
| დინამო (სოხ) | 34 | 4 | 9 | 21 | 32-80 | 21 |
| სამეგრელო | 35 | 5 | 4 | 26 | 36-92 | 19 |

## ბავშვთა ლიგა ● მერვედფინალი



**სლავა მეტრეველის სახელობის თასი (1987 წ)**

***პირველი მატჩები***

ბასა (ოზურგეთი) — ოლიმპი (თბ) 0-1
კოლხიდა (ქუთ) — კოლხეთი (ფოთი) 4-2
ოლიში01 (ზ) — დინამო1 (თბ) 1-3

**მიხეილ მესხის სახელობის თასი (1986 წ.)**

***საპასუხო მატჩები***

დინამო (თბ) — ორბი (გორი) 5-0 (0-0)
დინამო (ბთ) — ორბი (რუსთავი) 3-0 (სტუმრები არ გამოცხ.) (2-0)
ოდიში (ზ) — იბერია (ხაშური) 8-1 (0-1)
ავაზა (თბ) — ქობულეთი 1-0 (0-1)
ოლიმპიკი (თბ) — მერცხალი (რუსთავი) 7-1, (2-1)
ხობი — თელავი 2-0 (1-1).
კოლხიდა (ქუთ) — ლაგოდეხი 3-1 (1-1)
მერანი (თბ) — იმერეთი (ქუთ) 2-1 (1-1).



# ფეხბურთი

## ლოგიკური სპორბია!

# აფრიკასთან ფრთხილად!

*(პირველი გვერდიდან)*

E **ჯგუფში** პირველ ტურში გერმანელებმა არაბები მთელ დუნიაზე შეარცხვინეს, ასე უპირობოდ, კარგა ხანია მსოფლიო ჩემპიონატზე არავინ დამარცხებულა. ფიოლერის შეგირდებს სანერვიულო და ოფლის საღვრელი აწი ექნებათ, კამერუნიც და ირლანდიაც ადვილად არავის შემოელახებიან.

F **ჯგუფი** ნამდვილად „სიკვდილის" ჯგუფია, რაც პირველმა ტურმა თვალნათლივ წარმოაჩინა. ოდნავი უპირატესობა მაინც ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტს არგენტინის ნაკრებს ექნება, თუმცა, რაიმე დასკვნების გაკეთება ჯერ ნაადრევია.

გუშინ პირველი ტური ჩატარდა G **ჯგუფში**, დღეს, ტურნირს დაიწყებენ მასპინძლები იაპონია – ბელგიას შეხვდება, კორეა კი – პოლონელებს. პირველ რვა მატჩში ბლომად გოლი ვიხილეთ, სტატისტიკაც დამაიმედებელია – 25 გოლი (საშუალოდ 3,1 ერთ მატჩში). ჩემპიონატი გრძელდება, სანახავი და საქომაგო მერეც ბევრი გვექნება **(იხ. მე–5 გვ).**

მიმომხილველი



ხორვატია – მექსიკა

## თქვენთვის, ერუდიტებო!

***1. ვინ გაიტანა მე-1000 გოლი საქართველოს საფეხბურთო ეროვნულ ჩემპიონატში?***

ა — მიხეილ ჯიშკარიანმა („ცხუმი")
ბ — ელდარ გვასალიამ („კოლხეთი")
გ — გელა გაბისონიამ („ოდიში"

***2. ვინ ჩაატარა ყველაზე მეტი მატჩი ეროვნულ ჩემპიონატში?***

ა — ხვიჩა გაგნიძემ („დილა", „მარგვეთი", „ალაზანი")
ბ — მალხაზ მახარაძემ (დინამო „ბთ")
გ — ჯიმშერ მარეხაშვილმა („დილა")

***3. დაასახელეთ საქართველოს თერთმეტივე ეროვნულ ჩემპიონატში საუკეთესო ბომბარდირები***

ა — ზურაბ იონანიძე („სამგურალი", „ტორპედო", „სამტრედია", „ტორპედო")
ბ — დავით ჯანაშია („ტორპედო", „სამტრედია", „კოლხეთი")
გ — ლევან ხომერიკი („დინამო" ბათ. და თბ.)

***4. რომელი გუნდები მონაწილეობდნენ თითოჯერ საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში?***

ა — „სულორი", „არსენალი", „საპოვნელა", „დურუჯი".
ბ — „შუქურა", „თბილისი", „ეგრისი", „ლიახვი".
გ — „ამირანი", „მალაროელი", „მრეტები".

***5. რომელ წელს მიაღწია რუსთავის „გორდამ" („მეტალურგმა") თავის უმაღლეს შედეგს საქართველოს ჩემპიონატში?***

ა — 1990 წელს
ბ — 1991 წელს
გ — 1991-1992 წლების სეზონში.

**პასუხები: 1 — ბ, 2 — გ, 3 — ა, 4 — ბ, 5 — გ.**

## ბავშვთა ფეხბურთი

# გია ჯაყელის ხსოვნის თასზე

ეს ასპარეზობა „ედელვაისის" სტადიონზე გაიმართა და პარლამენტის ყოფილი წევრის, სამგორის რაიონის უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის გია ჯაყელის ხსოვნას მიეძღვნა. მონაწილეობდა 1987 წლიანთა 8 გუნდი. ფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ „მერანი" და „ბერმუხა". გამარჯვება დარჩათ მერანელებს (მწვრთნელი მურმან ფენდერავა) 3-1. გამარჯვებულს თასი გადასცა ლ. ჯაყელმა. საუკეთესო ფეხბურთელები დაჯილდოვდნენ ფასიანი საჩუქრებით.



«მერანი»



«ბერმუხა»

# გიორგი ასანიძე – ფეხბურთს

„ქარიშხალას" სპორტულ კომპლექსში დასრულდა ჭაბუკ ფეხბურთელთა ტურნირი მინიფეხბურთში ნიკა სოფრომაძის ხსოვნის პრიზზე 10 გუნდის მონაწილეობით.

ფინალში „ქარიშხალს" პირველი გუნდი შეხვდა თბილისის 35-ე საფეხბურთო სკოლას. მატჩი მოიგეს 35-ე სკოლელებმა 3-2 (მწვრთნელი ვახტანგ ბაქანიძე). III ადგილზე გავიდა „ქარიშხალას" მეორე გუნდი. ძალოსნობაში ევროპის სამგზისა და მსოფლიოს ჩემპიონმა გიორგი ასანიძემ თავისი ფონდის პრიზით დააჯილდოვა გამარჯვებული გუნდი. ტურნირის საუკეთესო მეკარედ მიიჩნიეს გეგი ხეხენაშვილი („ქარიშხალა"), ბომბარდირად – ავთო წილოსანი (35-ე სკოლა), რომელმაც 18 გოლი გაიტანა, ყველაზე ტექნიკურ მოვარჯიშედ – ბექა ნეფარიძე („ქარიშხალა"). საუკეთესო ფეხბურთელები დაჯილდოვდნენ სპორტული ჟურნალისტის შალვა ქირიას წიგნებით „ვარდები მიხეილ მესხისათვის", ავტორის ავტოგრაფით.



*გამარჯვებული გუნდი გიორგი ასანიძესთან ერთად*



თბილისის საღამოს სწავლების №1 სკოლის ფეხბურთელთა გუნდთან, რომელმაც გლდანი-ნაძალადევის ფეხბურთელთა ტურნირში გაიმარჯვა, ფოტოს გადაღება, მწვრთნელების გარდა, სკოლის პედ. კოლექტივმაც მოისურვა (ტექსტი იხ. მე-3 გვ.).

*რუბრიკის ფოტოები რობერტ ბაგოიანისა*

# ზეგ კალენდარს დაადგენენ...

ეროვნული ჩემპიონატი დასრულდა, მაგრამ ახლის კონტურები ახლავე იკვეთება. გაგანია მსოფლიო ჩემპიონატის მიუხედავად, ქართული საფეხბურთო ცხოვრება გრძელდება და სფფ-ს მესვეურები XIV ეროვნულის კალენდარზე გამალებით მუშაობენ. ხვალ, 5 ივნისს, უმაღლესი ლიგის კლუბების ხელმძღვანელები სფფ-ში 11 საათზე შეიკრიბებიან და ეროვნული ჩემპიონატის კალენდრისთვის აუცილებელი ნუმერაციის მისაღებად კენჭისყრა ჩატარდება.

# ხორვატთა „დიდი ეპოქის" დასასრული?

**მატჩი №9. იაპონია. ნიიგატა. 3 ივნისი. G ჯგუფი. I ტური**
**ხორვატია – მექსიკა 0-1**

***ხორვატია:*** პლეტიკოშა, სიმუნიჩი, ტომაში, პროსინეჩკი (რაპაიჩი), ქივკოვიჩი, ნ. კოვაჩი, ბოკშიჩი (სტანიჩი), სოლდო, შუკერი (სარიჩი), იარნი, რ. კოვაჩი.
***მექსიკა:*** პერესი, მარკესი, ვიდრიო, ტორადო, მორალესი, ლუნა, მერკადო, ბარგეტი (ერნანდესი), კარმონა, ბლანკო (პალენსია), კაბალერო.
***მსაჯი:*** ლუ ჯუნი (ჩინეთი)
***გააძევეს:*** ქივკოვიჩი
***გოლი:*** 0-1 ბლანკო (60, პენ.)

ხორვატულმა ფეხბურთმა თავისი დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე მიაღწია წარმატებას. წინა მსოფლიო ჩემპიონატზე ბობანის, პროსინეჩკის, შუკერისა და ბოკშიჩის ბრწყინვალე კამპანიამ ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრა. სპეციალისტები მოელოდნენ, რომ ხორვატიის



ნაკრები მსოფლიოს მიმდინარე ჩემპიონატს დამაჯერებლად დაიწყებდნენ... მაგრამ მექსიკელებთან გამართულ შეხვედრაში ხორვატებმა უფერულად ითამაშეს. არადა, პირველი სახიფათო მომენტები სწორედ მათ შექმნეს. მეექვსე წუთზე შუკერის თავური დარტყმა ასცდა მექსიკელთა კარს. ოთხი წუთის შემდეგ კვლავ შუკერმა დაარტყა სახიფათოდ საჯარიმო მოედნის ხაზიდან, მაგრამ არაზუსტად. 22-ე წუთზე ხორვატთა ერთ-ერთი შეტევის დროს მექსიკელთა გოლკიპერი შეცდა კარიდან გამოსვლის დროს, მაგრამ მერკადომ მაინც შეძლო ბურთის ცარიელი კარიდან გამოტანა. ამის შემდეგ მექსიკელებმა თანდათან ხელთ იგდეს თამაშის სადავეები. მატჩის გადამწყვეტი მომენტი 59-ე წუთზე დადგა, როცა „აცტეკთა" ფორვარდი კუატემოკ ბლანკო შეიჭრა ევროპელთა საჯარიმოში. ის აკრძალული ილეთით შეაჩერა ბორის ქივკოვიჩმა, რის შედეგადაც თერთმეტმეტრიანი და... წითელი ბარათი დაიმსახურა. დაზარალებულმა თავად შეასრულა ეს დარტყმა — 1-0.

გატანილმა გოლმა და ქივკოვიჩის გაძევებამ ხორვატებს ხასიათი წაუხდინა. მათი თამაში კიდევ უფრო გაუფერულდა. გუნდის მწვრთნელმა მირკო იოზიჩმა ერთი-მეორის მიყოლებით შეცვალა ბოკშიჩი და შუკერი (შესაბამისად, — სტანიჩითა და სარიჩით), მაგრამ ამანაც ვერ უშველა ხორვატიის ნაკრებს. მექსიკელმა ფეხბურთელებმა ბოლომდე შეძლეს მინიმალური უპირატესობის შენარჩუნება და პირველი სამი ქულა ჩაიწერეს აქტივში — 1-0.

# არბიტრი რომ არა?..

**მატჩი №10. კორეა. ულსანი. 3 ივნისი. C ჯგუფი. I ტური**
**ბრაზილია – თურქეთი 2-1**

***ბრაზილია:*** მარკოსი, კაფუ, ლუსიო, როკე ჟუნიორი, ედმილსონი, რობერტო კარლოსი, სილვა, რონალდო, რივალდო (ლუიზაო), რონალდინიო (დენილსონი), ჟუნინიო პაულისტა (ვამპეტა).
***თურქეთი:*** რუშტუ, ბიულენტი (ილხანი), ფატიხი, ალპაი, თუგაი, არიფი, შუქური, ბიარტურკი (დავალა), შაში, უმით ოზათი, უნსალი, ემრე.
***მსაჯი:*** იონგ ჟუ კიმი (კორეა)
***გაფრთხილეს:*** აკიელი, უნსალი, ოზალანი. დენილსონი.
***გააძევეს:*** ოზალანი, უნსალი.
***გოლები:*** 0-1 ჰასან შაში (45), 1-1 რონალდო (50), 2-1 რივალდო (87, პენ.)

ჩემპიონატის ერთ-ერთმა ფავორიტმა — ბრაზილიის ნაკრებმა თურქეთის გუნდთან შეხვედრაში რომ გაიმარჯვა, მატჩის არბიტრს უნდა უმადლოდეს, რომელმაც მატჩის დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე, ბევრის აზრით, მეტად საეჭვო თერთმეტმეტრიანი დანიშნა თურქების კარში, თუმცა, ამაზე მოგვიანებით.

გუშინდელი შეხვედრა ბრაზილიელთა შეტევებით დაიწყო. ზედიზედ იქმნებოდა სახიფათო მომენტები თურქების კართან. უკვე მეათე წუთზე რონალდოს შეეძლო გაეხსნა ანგარიში, მაგრამ ბურთი ერთ-ერთ თურქ ფეხბურთელს მოხვდა.

თურქები მხოლოდ მეთხუთმეტე წუთზე მიუახლოვდნენ პირველად ბრაზილიის საჯარიმოს, ხოლო მე-18 წუთზე პირველი საგოლე მომენტიც შექმნეს. შუქურს წამით დაასწრო მარკოსმა და ბურთი ცხვირწინ ააცალა.

შუა ტაიმში ბრაზილიელთა უპირატესობა აშკარა იყო, თუმცა არ ჩანდა კონკრეტული შედეგი — გოლი, რომელიც სამხრეთამერიკელებს დაამშვიდებდა. მე-40 წუთზე თურქთა გოლკიპერმა რუშტუმ რივალდოს თავური დარტყმის შემდეგ კარი აშკარა გოლისგან იხსნა. ოთხი წუთის შემდეგ რონალდინიო რუშტუსთან პირისპირ აღმოჩნდა, მაგრამ ამ უკანასკნელმა იმარჯვა.

ტაიმის ბოლო წუთზე კი თურქებმა გოლი გაიტანეს. ჰასანმა დიდებული პასი მისცა საჯარიმოში ჰასან შაშის, რომლის დარტყმის წინააღმდეგ ბრაზილიელთა გოლკიპერი უძლური აღმოჩნდა...

შესვენების შემდეგ ბრაზილიელები



მთელი გუნდით შეტევაზე გადავიდნენ და 50-ე წუთზე რონალდომ ანგარიში გაათანაბრა 1-1. არც ამის შემდეგ შეჩერებულან სამხრეთამერიკელები. გოლის გატანა შეეძლოთ ლუსიოს, ჟუნინიოს, რივალდოს, თუმცა გადამწყვეტ ფაზაში ზუსტად თამაშობდნენ თურქი მცველები. დრო გადიოდა. ბრაზილიელები ღელავდნენ, თურქები კი ყველა ღონეს ხმარობდნენ გაეწელათ დრო. ბრაზილიელთა მთავარმა მწვრთნელმა მინდორზე დენილსონი, ვამპეტა და ლუიზაო შემოიყვანა, კონკრეტული შედეგი კი არ ჩანდა. თურქი ფეხბურთელები საიმედოდ იცავდნენ თავს. 87-ე წუთზე ალპაიმ მაისურით დაიჭირა ერთ-ერთი ბრაზილიელი თავდამსხმელი და მატჩის არბიტრმაც უყოყმანოდ დანიშნა თერთმეტმეტრიანი, ხოლო ოზალანი მოედნიდან გააძევა. (არადა, ტელერეპორტაჟში სიუჟეტის განმეორების დროს, ბევრს ალბათ დარჩა შთაბეჭდილება, რომ წესის დარღვევა მოხდა საჯარიმოს გარეთ).

რივალდომ ზუსტად შეასრულა თერთმეტმეტრიანი, 2-1. დარჩენილ წუთებში თურქებმა დიდი ძალებით შეუტიეს, თუმცა უშედეგოდ, მეტიც, ისინი მინდორზე ცხრანი დარჩნენ: მსაჯმა უხეშობისათვის ჰაკან უნსალიც გაუყენა ოზალანის გზას. საბოლოოდ ბრაზილიელებმა პირველი გამარჯვება იზეიმეს 2-1.

2002 FIFA WORLD CUP KOREA JAPAN

# ისწავლეთ იტალიური კლასში

**მატჩი №11. იაპონია. საპორო. 3 ივნისი. G ჯგუფი. I ტური**
**იტალია – ეკვადორი 2-0**

***იტალია:*** ბუფონი, პანუჩი, მალდინი, კანავარო, ტოტი (დელ პიერო 75), დონი (დილივიო 65), ნესტა, დი ბიაჯო (გატუზო 70), ტომაზი, ძამბროტა, ვიერი.
***ეკვადორი:*** სევალიოსი, პოროსი, ურტადო, დე ლა კრუსი, ობრეგონი, გუერონი, აგინაგა (ც. ტენორიო 46), დელგადო, ჩალა (ასენსიო 80), მენდესი, ე. ტენორიო (აიოვი 60).
***გოლები:*** 1-0, 2-0 ვიერი (7, 27).
***გაფრთხილეს:*** ჩალა, პოროსო, დელა კრუსი, კანავარო.
***მსაჯი:*** ბრაიან ჰოლი (აშშ).



გუშინ, ჩემპიონატში ტურნირის ორი ფავორიტი ჩაება. თუ ბრაზილიამ დიდი გაჭირვებით დაძლია თურქთა წინააღმდეგობა, იტალიამ თითქმის უპრობლემოდ აჯობა ჩემპიონატის დებიუტანტს — ეკვადორს. პირველი წუთიდან მოპოვებული სათამაშო და ტერიტორიული უპირატესობა, სამგზის მსოფლიო ჩემპიონს, მატჩის ბოლომდე არ დაუთმია.

აღსანიშნავია, რომ ტურნირის წინ იტალიელთა რიგებში კონფლიქტმა იფეთქა, რასაც შედეგად დელ პიეროს უთამაშებლობა მოჰყვა პირველ ტაიმში. ტრაპატონი და ფეხბურთელები ვერ შეთანხმდნენ სათამაშო პოზიციაზე. დელპიერომ განაცხადა, რომ თავდამსხმელების უკან იგი არ ითამაშებდა. თუმცა, ამას იტალიელთათვის ხელი არ შეუშლია დაემარცხებინათ პირველი მეტოქე. ჩინებულად ურთიერთმოქმედებდნენ ტოტი და ვიერი, რასაც პირველი გოლი მოჰყვა, მერე იტალიელებმა კონტრიერიშებზე ააგეს თამაში და ერთ-ერთი შეტევისას მეორე გოლი გაიტანა ვიერიმ. მეორე ტაიმი გუნდებმა საკმაოდ მშვიდად დაიწყეს. კლასი მაინც კლასია და იტალიელებმა კარგ სტილში მიიყვანეს საქმე გამარჯვებამდე. მეორე ნახევარში ტრაპატონიმ ტოტი დაასვენა და დელპიეროს თამაშის საშუალება მისცა. ასე რომ, გამოცდილი მწვრთნელი, თუ საჭირო გახდა, ტოტისაც და დელ პიეროსაც მოუძებნის ადგილს შემდგომ მატჩებში. პირველი ტურის შემდეგ G ჯგუფში ასეთი ვითარებაა:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია** | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| **მექსიკა** | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| **ხორვატია** | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| **ეკვადორი** | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |

მსოფლიო ჩემპიონატის განვლილ 11 მატჩში გავიდა 31 გოლი (საშუალოდ 3,1 ერთ მატჩში).

***ბომბარდირები***
**კლოზე (გერმანია) — 3**
**ტომასონი (დანია) — 2**
**ვიერი (იტალია) — 2**

# ტოტალიზატორის მოყვარულთათვის!

| | | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|---|
| **გთავაზობთ** | | | | | |
| **ევროპული** | 4.06 | ჩინეთი – კოსტა-რიკა | 3,25 | 3,10 | 2,10 |
| **ტოტალიზატო-** | 4.06 | იაპონია – ბელგია | 2,60 | 2,90 | 2,65 |
| **რის კურსებს** | 4.06 | სამხრეთ კორეა – პოლონეთი | 2,60 | 3,00 | 2,60 |
| **მსოფლიო** | 5.06 | რუსეთი – ტუნისი | 1,65 | 3,20 | 5,50 |
| **ჩემპიონატის** | 5.06 | აშშ – პორტუგალია | 6,50 | 3,50 | 1,50 |
| **მატჩებისათვის** | 5.06 | გერმანია – ირლანდია | 1,70 | 3,25 | 4,85 |
| **უახლოესი სამი** | 6.06 | საფრანგეთი – ურუგვაი | 1,45 | 3,60 | 7,25 |
| **დღის განმავ-** | 6.06 | დანია – სენეგალი | 2,20 | 2,90 | 3,25 |
| **ლობაში.** | 6.06 | კამერუნი – საუდის არაბეთი | 1,25 | 5.00 | 10.00 |

# საფეხბურთო-საჩემპიონატო კროსვორდი




**თარაზულად:** 3. იტალიელთა თავდამსხმელი, 6. გერმანელთა მეკარე, 8. იტალიელთა მცველი, 9. ინგლისელთა თავდამსხმელი, 10. მექსიკელთა ნახევარმცველი, 13. დანიელთა ნახევარმცველი, 14. სენეგალელთა ნაკრების წევრის სილვენ ნდიაიეს ფრანგული კლუბი, 15. მექსიკელთა ნაკრების ფეხბურთელი, 16. ურუგვაელთა ნახევარმცველი, 18. სლოვენიელთა თავდამსხმელი.
**შვეულად:** 1. არგენტინელთა მცველი, 2. ურუგვაელთა თავდამსხმელი, 4. იაპონელთა ნახევარმცველი, 5. ტუნისელთა თავდამსხმელი, 7. დანიელთა ნახევარმცველი, 9. აშშ-ს ნაკრების ფეხბურთელი, 11. ურუგვაელთა ნაკრების ფეხბურთელი დარიო... 12. გერმანელთა თავდამსხმელი.

**წინა ნომრის ამავე გვერდში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**
**თარაზულად:** 1. სარი, 3. ერდემი, 8. ჯემბა, 9. ფრანი, 12. ანი, 13. კერსლი, 14. ვილტორი, 15. სოუზა, 18. იენსენი, 19. ინძაგი, 20. შნაიდერი. **შვეულად:** 2. რამე, 4. დენილსონი, 5 ჩოი, 6. ქაო, 7. მაკარტი, 10. პუირინი, 11. ლაურსენი, 13. კინსელა, 16. ფეიე, 17. ჩოი.

# ჩემპიონატის სტატისტიკა

**მატჩი №1. 31 მაისი. კორეა. სეული. A ჯგუფი. I ტური.**
**საფრანგეთი – სენეგალი 0-1**
***საფრანგეთი:*** ბარტეზი, ტურამი, ლებეფი, დესაი, ლიზარაზუ, ვიეირა, პეტი, ჯორკაეფი (დიუგარი 60), ვილტორდი (ჯ. სისე 80), ტრეზეგე, ანრი.
***სენეგალი:*** ტ. სილვა, ო. დაფი, ა. სისე, პ. მ. დიოპი, დიატა, კოლი, დიაო, ფადიგა, დიოპი, მ. ნდიაიე, დიუფი.
***გოლი:*** დიოპი 0-1 (30).
***გაფრთხილეს:*** პეტი, ა. სისე.
***მსაჯი:*** ალი ბუსაიმი (საემიროები).

**მატჩი№2. 1 ივნისი. იაპონია. ნიიგატა. E ჯგუფი. I ტური**
**კამერუნი – ირლანდია 1-1**
***კამერუნი:*** ალიუმი, ჩატო, ვომე, რ. სონგი, კალა, ჯ. ნჯიტაპი, ს. ეტო-ო, მბომა (სუფო 66), ეტამაიერი, მეტომო, ოლემბე.
***ირლანდია:*** გივენი, ჰარტი (რიდი 77), სტონტონი, მაკატირი (ფინანი 46), ჰოლანდი, დაფი, რობი კინი, კილბეინი, კინსელა, ბრინი, გ. კელი.
***გოლები:*** 1-0 მბომა (39), 1-1 ჰოლანდი (52)
***გაფრთხილეს:*** კალა, მაკატირი, ფინანი, რიდი.
***მსაჯი:*** ტორუ კამიკავა (იაპონია).

**მატჩი №3. 1 ივნისი. კორეა. ულსანი. A ჯგუფი. I ტური**
**ურუგვაი – დანია 1-2**
***ურუგვაი:*** კარინი, მენდესი, მონტერო, გ. პ. გარსია, როდრიგესი (მაგალიანესი 86), გიგუ. ვარელა, დ. სილვა, აბრეუ (მორალესი 88), სორონდო, რეკობა (რეგუერო 80).
***დანია:*** სორენსენი, ტოფტინგი, ჰენრიკსენი, ლაურსენი, ჰაინცე (ნ. იენსენი, 57), ჰელვეგი, გრავესენი, გრონკიაერი (იორგენსენი 67), ი. დ. ტომასონი, სანდი (პოულსენი 88), რომედალი.
***გოლები:*** 0-1 ტომასონი (45), 1-1 როდრიგესი (47), 1-2 ტომასონი (83).
***გაფრთხილეს:*** როდრიგესი, ლაურსენი, ჰაინცე, მენდესი.
***მსაჯი:*** სად მანე (ქუვეითი).

**მატჩი №4. 1 ივნისი. იაპონია. საპორო. E ჯგუფი. I ტური**
**გერმანია – საუდეთი 8-0**
***გერმანია:*** კანი, ლინკე, რამელო (იერემისი 46), ციგე, ჰამანი, მეცელდერი, ფრინგსი, შნაიდერი, ბალაკი, იანკერი (ბირჰოფი 68), კლოზე (ნოივილი 76).
***საუდეთი:*** ალ დეაია, თუქარი, ა.ს. ზუბრომავი, ნოორი, ს.ალ ჯაბერი, ა. ალ დოსარი, სულეიმანი, ალ. ოვაირანი, ალ ვაკედი (ალ შარანი 46), ტემიატი (ალ ხათრანი 46), ალ იამი (ჯუმაანი 76).
***გოლები:*** 1-0, 2-0 კლოზე (20, 28), 3-0 ბალაკი (40), 4-0 იანკერი (45), 5-0 კლოზე (70), 6-0 ლინკე (73), 7-0 ბირჰოფი (85), 8-0 შნაიდერი (90).
***გაფრთხილეს:*** ციგე, ჰამანი, ნოორი.
***მსაჯი:*** უბალდო აკინო (პარაგვაი).

**A ჯგუფი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **დანია** | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| **სენეგალი** | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| **ურუგვაი** | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |
| **საფრანგეთი** | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |

**E ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **გერმანია** | 1 | 1 | 0 | 0 | 8-0 | 3 |
| **ირლანდია** | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| **კამერუნი** | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| **საუდეთი** | 1 | 0 | 0 | 1 | 0-8 | 0 |

**მატჩი №5. 2 ივნისი. იაპონია. იბარაკი. F ჯგუფი. I ტური**
**არგენტინა – ნიგერია 1-0**
***არგენტინა:*** კავალიერო, სორინი, პოჩეტინო, სამუელი, პლასენტე, ძანეტი, ვერონი (აიმარი 77), სიმეონე, კ. ლოპესი (ცილი გონსალესი 46), ორტეგა, ბატისტუტა (კრესპო 82).
***ნიგერია:*** შორუნმუ, იობო, ბაბაიარო, ოკორონკვო, ვესტი, კანუ (იკედია 48), ლავალი, სოდჯე (ქიუსტიჩი 72), ოკოჩა, ოგბეჩე, აგაოვა.
***გოლი:*** ბატისტუტა 1-0 (63).
***გაფრთხილეს:*** სიმეონე, სოდჯე.
***მსაჯი:*** ჟილ ვესიე (საფრანგეთი).

**მატჩი №6. 2 ივნისი. კორეა. ბუსანი. B ჯგუფი. I ტური.**
**პარაგვაი – სამხ. აფრიკა 2-2**
***პარაგვაი:*** ტავარელი, არსე, გამარა, აიალა, ტრუვაი (ფრანკო 87), ალვარენგა, კრუზი, აკუნია, კამპოსი (მორინიგო 73), კასერესი, კანისა.
***ს. აფრიკა:*** არენდსე, ნზამა, კარნელი, ა. მოკოენა, სიბაია, ფორჩუნი, ტ. მოკოენა, პ. ისა (მუკანსი 26), ს. ზუმა, მაკარტი (კუმანტარაკისი 78), რადებე.
***გოლები:*** 1-0 კრუზი (39), 2-0 არსე (56), 2-1 სტრუვაი (ს.კ. 65) 2-2, ფორჩუნი (პენ. 90).
***გაფრთხილეს:*** ტავარელი, კასერესი, კანისა, ისა, ზუმა, რადებე.
***მსაჯი:*** ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი).

**მატჩი №7. 2 ივნისი. იაპონია. საიტამა. F ჯგუფი. I ტური**
**ინგლისი – შვედეთი 1-1**
***ინგლისი:*** სიმენი, მილსი, ე. კოული, ფერდინანდი, კემპბელი, ბექჰემი (დაიერი 63), სქოულზი, ჰარგრივსი, ჰესკი, ოუენი, ვესელი (ჯ. კოული 71).
***შვედეთი:*** ხედმანი, მელბერგი, ა. იაკობსონი, მიალბი, ლუციჩი, ნ. ალექსანდერსონი, ლინდეროტი, მ. სვენსონი (ა. სვენსონი 55), ლიუნგბერგი, ოლბოკი (ა. ანდერსონი 79), ჰ. ლარსონი.
***გოლები:*** 1-0 კემპბელი (24), 1-1 ალექსანდერსონი (59).
***გაფრთხილეს:*** კემპბელი, იაკობსონი.
***მსაჯი:*** კარლოს სიმონი (ბრაზილია).

**მატჩი №8. 2 ივნისი. კორეა, გვანგჯუ. B ჯგუფი. I ტური**
**ესპანეთი – სლოვენია 3-1**
***ესპანეთი:*** კასილიასი, ხუანფრანი (რომერო 84), პუიოლი, იერო, ნადალი, ბარახა, დე პედრო, ვალერონი, ლუის ენრიკე (ელგერა 73), რაული, ტრისტანი (მორიენტესი 68).
***სლოვენია:*** სიმეუნოვიჩი, მილინოვიჩი, გალიჩი, კნავსი, ნოვაკი (გაიზერი 77), ჩეჰი, პავლინი, კარიჩი, ოსტერცი (ციმეროტიჩი 56), რუდონია, ზაჰოვიჩი, (აჩიმოვიჩი 64).
***გოლები:*** 1-0 რაული (44), 2-0 ვალერონი (74), 2-1 ციმეროტიჩი (83), 3-1 იერო (პენ. 87).
***გაფრთხილეს:*** კარიჩი, ციმეროტიჩი, ვალერონი.
***მსაჯი:*** მუჰამედ გუეზაზი (მაროკო).

**F ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **არგენტინა** | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| **შვედეთი** | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| **ინგლისი** | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| **ნიგერია** | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |

**B ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ესპანეთი** | 1 | 1 | 0 | 0 | 3-1 | 3 |
| **პარაგვაი** | 1 | 0 | 1 | 0 | 2-2 | 1 |
| **ს. აფრიკა** | 1 | 0 | 1 | 0 | 2-2 | 1 |
| **სლოვენია** | 1 | 0 | 0 | 1 | 1-3 | 0 |




# ნბა

# ფინალში „ლეიკერსი“ და „ნიუ ჯერსი“ გავიდნენ

„ლოს-ანჯელეს ლეიკერსმა“ ნბა-ს რეგულარული ჩემპიონატის ფლეი-ოფის ნახევარფინალური სერიის გადამწყვეტ, მეშვიდე მატჩში, მაინც გატეხა „საკრამენტოს“ წინააღმდეგობა, დაამარცხა რა მეტოქე 112:106, „ლეიკერსი“ ნბა-ს ფლეი-ოფის ფინალში გავიდა. სერიის საბოლოო ანგარიშია 4:3 „ლეიკერსის“ სასარგებლოდ. ბრწყინვალედ ითამაშა შაკილ ო,ნილმა, რომელმაც ლოს-ანჯელესელთა გუნდს 35 ქულა შესძინა და 7 შედეგიანი გადაცემა გააკეთა. აქვე გეტყვით, რომ ხუთი მატჩის შემდეგ, როცა „ლეიკერსი“ მატჩების სერიაში 2-3-ს აგებდა, სწორედ ო'ნილის ბრწყინვალე თამაშმა (მან 41 ქულა დააგროვა) იხსნა გუნდი დამარცხებისაგან მეექვსე შეხვედრაში. ეს იყო ო,ნილის საუკეთესო მატჩი მიმდინარე სეზონში.

***„ლეიკერსი“:*** ო'ნილი (35+7 შედეგიანი გადაცემა), ფოქსი (7 გადაცემა + 14 მოხსნა). ***„საკრამენტო“:*** ბიბი (29), დივაცი (10 მოხსნა), უებერი (11 შედეგიანი გადაცემა).

„ნიუ-ჯერსს“ ფლეი-ოფში გასასვლელად „ბოსტონთან“ 6 მატჩის გამართვა დასჭირდა, საიდანაც გუნდმა ოთხი მოიგო. მეექვსე შეხვედრის სამი მეოთხედის განმავლობაში თამაში გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. ძირითადი დროის დამთავრებამდე 6 წუთით ადრე, „ნიუ-ჯერსი“ 8 ქულით დაწინაურდა — 82:74. დანარჩენ დროში „ბოსტონმა“ მხოლოდ ის შეძლო, რომ ორჯერ შეემცირებინა სხვაობა 3 ქულამდე, თუმცა, მეტის გაკეთება ვერ მოახერხა. „ნიუ ჯერსიმ“ გაიმარჯვა ანგარიშით — 96:88. სერიის საბოლოო ანგარიშია 4:2 „ნიუ ჯერსის“ სასარგებლოდ.

***„ბოსტონი“:*** ანდერსონი (18), უოქერი (16).

***„ნიუ ჯერსი“:*** მარტინი (16), კიდი (15+13 მოხსნა+13 გადაცემა), რ. ჯეფერსონი (15).

# „როლან გაროსს“ კუერტენი და ჰიუიტი გამოეთიშნენ

## ეს „სიამოვნება“ ლაბაძემ მეორე წრეში მიიღო

საჩოგბურთო ტურნირის „როლან გაროსის“ მომდევნო მეოთხე წრეში მოხდა ორი სენსაცია: ასპარეზობას გამოეთიშნენ ფავორიტებად მიჩნეული გუსტავო კუერტენი და ლეიტონ ჰიუიტი. კუერტენი ალბერტ კოსტასთან დამარცხდა — 4:6, 7:5, 6:4, ხოლო ჰიუიტმა წააგო გუილერმო კანასთან — 7:6, 6:7, 4:6, 3:6.

ანდრე აგასიმ მეტად დაძაბულ ბრძოლაში სძლია პაულ მათიეუსს — 4:6, 3:6, 6:3, 6:3, 6:3.

აქვე გეტყვით, რომ ამ რანგის ტურნირზე ირაკლი ლაბაძემ მხოლოდ პირველი ეტაპი განვლო წარმატებით, მეორე წრეში ის გასტონ გაუდოსთან დამარცხდა — 1:6, 2:6, 7:6, 4:6.

ქალთა ტურნირის მეოთხე წრე იოლად გადალახეს ვენუს უილიამსმა და მერი პირსმა. მათ შესაბამისად ჩანდა რუბინი (6:3,. 6:2) და სილვია ფარინა (6:1, 6:2) დაამარცხეს.

სერენა უილიამსმა სამ პარტიაში მოუგო ვერა ზვონარევას — 4:6, 6:0, 6:1, ხოლო ელენა დოკიჩმა კატარინა ორებოტნიკს სძლია 7:6, 6:2.




წარმატებით აგრძელებს ასპარეზობას ჯენიფერ კაპრიატი, რომელმაც ანგარიშით 6:4, 6:4 მოუგო პატი შნაიდერს.

# ქალი, რომელიც პირველ ლედის ჰგავს

**„როლან გაროსის“ საჩოგბურთო ტურნირის მიმდინარეობის დროს მოხდა კურიოზული შემთხვევა. საჩოგბურთო კორტებთან მივიდა ძვირადღირებული მანქანა, მოტოციკლისტთა საპატიო ყარაულით“, რომლიდანაც გადმოვიდა საფრანგეთის პრეზიდენტის მეუღლე ბერნადეტ შირაქი. ის გაემართა სამთავრობო ლოჟისკენ და დაიკავა საპატიო სტუმრის სავარძელი. პრეზიდენტის დაცვის სამსახურმა მოულოდნელად აღმოაჩინა, რომ ეს ქალბატონი სულაც არ იყო ბერნადეტ შირაქი. ის უბრალოდ, ძლიერ ჰგავდა პრეზიდენტის მეუღლეს, ამით ისარგებლა და ქვეყნის პირველი პირის დაცვის სამსახურის წარმომადგენლები გააცურა...**

# კომენტატორი რასიზმში დაადანაშაულეს

ფრანგი კომენტატორი ტიერი როლანი დაადანაშაულეს რასიზმში იმ ფრაზის გამო, რომელიც მან კორეელთა მისამართით წარმოთქვა ჩემპიონატის დაწყებამდე გამართული სამხრეთ კორეა — საფრანგეთის ამხანაგური მატჩის მიმდინარეობის დროს (აღნიშნულ შეხვედრაში ფრანგებმა ანგარიშით 3-2 გაიმარჯვეს). კერძოდ, მან აღნიშნა: „არაფერი შეიძლება იყოს ერთმანეთის მსგავსი, როგორც კორეელი ფეხბურთელები საფეხბურთო ფორმებში. ისინი ერთმანეთს ჰგვანან და ყველა მათგანის სიმაღლე 170 სანტიმეტრია“.

მატჩის შემდეგ კომენტატორმა ბოდიში მოიხადა, თუმცა ჟურნალისტებმა როლანს მაინც არ შეარჩინეს უვიცობა: აღმოჩნდა, რომ თურმე კორეელ ფეხბურთელთა საშუალო სიმაღლე შეადგენს... 180 სანტიმეტრს, რაც 3 სანტიმეტრით აღემატება საფრანგეთის ნაკრების წევრთა საშუალო სიმაღლეს!




# „ჯირო“ დასრულდა

უპოპულარესი მრავალდღიანი ველორბოლის „ჯირო დ'იტალიის“ 85-ე გათამაშების ბოლო ეტაპი, რომელიც კანტუ-მილანის ტრასაზე გაიმართა, მრბოლებმა წყნარად, თითქმის ერთდროულად დაასრულეს მოასპარეზეებმა. მაგრამ გამარჯვება წილად ხვდა იტალიელ მარის ჩიპოლინის. ამ ეტაპს საერთო ჩათვლაში ცვლილება არ შეუტანია — პირველობა საბოლოოდ შეინარჩუნა ასევე იტალიელმა პაოლო სავოლდელიმ. ***ბოლო ეტაპი. 142 კმ:*** 1. ჩიპოლინი — 3.35,28 წ, 2. ალესანდრო პეტაში (იტ) — იგივე დრო, 3. რენე ჰასელბახერი (ავსტრია) — იგივე დრო.

***საერთო ჩათვლა. საბოლოო შედეგი:*** სავოლდელი — 89 საათი, 22 წუთი და 42 წ, 2. ტაილერ ჰემილტონი (აშშ) პლუს 1,41, 3. პეტრე კოჩული (იტ) პლუს 2,12, 4. ხუან მანუელ გარატე (ესპ) პლუს 3,14, 5. პაველ ტონკოვი (რუს) — 5,34, 6. გონსალეს ჰიმენსი (ესპ) პლუს 6,54. შეგახსენებთ, რომ ტონკოვი ამ რბოლის გამარჯვებული იყო 1996 წელს.

# ჰოლიფილდმა სძლია რახმანს



**მოუგო თუ არა დაძაბული შერკინება რახმანს, 39 წლის ჰოლიფილდმა უმალვე განაცხადა, რომ ამის შემდეგ იგი რინგზე იწვევს ლიუის – ტაისონს შორის გამარჯვებულს.**

**მერვე რაუნდში ჰოლიფილდი შემთხვევით დაეტაკა თავით მეტოქეს სახეში, რის შედეგად მარცხენა თვალთან რახმანს მაგიდის ჩოგბურთის ბურთის ტოლი გემატომა გაუჩნდა. ორთბრძოლა შეწყდა. ორმა მსაჯმა ერთნაირი ანგარიშით 69:64 უპირატესობა მისცა ჰოლიფილდს, მესამე არბიტრმა კი, ყველასათვის გასაოცრად, გამარჯვებულად სცნო რახმანი – 67:66.**

**ჰოლიფილდმა 20 წუთში 5 მილიონი დოლარი გამოიმუშავა, რახმანი ამ თანხის 2,5 ჯერ ნაკლებს მიიღებს.**

# სეზონის ახალი რეკორდი



სვეტლანა კრიველევამ, რომელიც მოსკოვის ოლქიდანაა, რუსეთის მძლეოსანთა ჩემპიონატში, ტულაში, ბირთვი 20 მეტრსა და 53 სმ-ზე ჰკრა, რაც წლევანდელი სეზონის საუკეთესო შედეგია მსოფლიოში. ტულაშივე, ერთ კვირაში დაიწყება იააფ-ის გრან-პრი ძმებ ზნამენსკების პრიზზე.

# მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**4 ივნისი, სამშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი: ჩინეთი – კოსტა-რიკა, პირდაპირი (11.20), იაპონია – ბელგია, პირდაპირი (13.50), კორეა – პოლონეთი, პირდაპირი (16.20), იაპონია – ბელგია ვიდეოჩანაწერი, (21.00). ***მე-2 არხი.*** ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ჩინეთი – კოსტა-რიკა (18.30), კორეა – პოლონეთი (20.30). ***ევრიკა.*** მსოფლიო სპორტი (20.00). ***მე-9 არხი.*** „მსოფლიო ფეხბურთი“ (14.45). მსოფლიო ჩემპიონატის დღიური (21.00). ***НТВ плюс футбол.*** მსოფლიო ჩემპიონატი. ჩინეთი – კოსტარიკა (11.20), იაპონია – ბელგია (13.50), კორეა – პოლონეთი (16.20). ***НТВ плюс спорт.*** ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი. „როლან გაროსი“ (15.00). ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი. ქალები. რუსეთი – ბრაზილია (23.55). იტალია – იაპონია (1.45). ***EUROSPORT.*** ჩოგბურთი. „დიდი მუზარადის ტურნირი (11.30, 15.00, 23.00, 0.00). ფეხბურთი. ერთი მსოფლიო – ერთი თასი (13.00). მსოფლიო თასის ისტორია (13.15, 2.45), მსოფლიო თასის ლეგენდები (13,30), „ჟილეტი“ ოცნების გუნდი (2.15).

**5 ივნისი, ოთხშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. რუსეთი – ტუნისი, პირდაპირი (11.20), აშშ-პორტუგალია, პირდაპირი (13.50), გერმანია – ირლანდია. პირდაპირი (16.20), გერმანია – ირლანდია, ვიდეოჩანაწერი (21.00), ***ევრიკა.*** მსოფლიო სპორტი (22.30), ***НТВ плюс футбол.*** მსოფლიო ჩემპიონატი რუსეთი – ტუნისი (11.20), აშშ – პორტუგალია (13.50), გერმანია – ირლანდია (16.20), მსოფლიო ჩემპიონატი (18.20), 21.50, 23.50). ***НТВ плюс спорт.*** ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი „როლან გაროსი“ (15.00), მეკლდეურობა. მსოფლიო თასის ეტაპი (20.00), ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი. ქალები. რუსეთი – იტალია (21.55), ჰოკეი. „სტენლის თასი“. ფინალი (0.00). ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. „ჟილეტი“ ოცნების გუნდი (13.00, 2.45), მსოფლიო თასის ლეგენდები (13.30), მსოფლიო თასის ისტორია (14.30), გზა მსოფლიო თასისკენ (2.15), აზიის თასი (3.15, 4.45).

**6 ივნისი, ხუთშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. დანია – სენეგალი, პირდაპირი (11.20), საუდის არაბეთი – კამერუნი, პირდაპირი (13.50), საფრანგეთი – ურუგვაი, პირდაპირი (16.20), საფრანგეთი – ურუგვაი, ვიდეოჩანაწერი (21.00). ***II არხი.*** მსოფლიო ჩემპიონატი. დანია – სენეგალი (18.30), კამერუნი – საუდის არაბეთი (20.30). ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი“ (10.45, 20.00), ***მე-9 არხი.*** ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატის დღიური (21.00). ***НТВ плюс футбол.*** მსოფლიო ჩემპიონატი. დანია – სენეგალი (11.20), კამერუნი – საუდის არაბეთი (13.50), საფრანგეთი – ურუგვაი (16.20), მსოფლიო ჩემპიონატი (18.20, 21.50, 23,35). ***НТВ плюсспорт.*** კალათბურთი. ნბა-ს ჩემპიონატი. ფინალის I მატჩი (11.45), ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი. ქალები. კუბა – ჰოლანდია (14.55). ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი „როლან გაროსი“, ნახევარფინალი (17.00), ნბა-ს მიმოხილვა (21.00), ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი. ქალები. რუსეთი – იაპონია (1.25). ***EUROSPORT.*** სამთო ველორბოლა. მსოფლიო თასი (12.30), ფეხბურთი: გზა მსოფლიო თასისკენ (13.30), მსოფლიო თასის ლეგენდები (14.30), „ჟილეტი“ ოცნების გუნდი (15.30, 16.00), მსოფლიო თასის კლასიკა (2.15), ფორმულა-1 (16.30), ჩოგბურთი. „დიდი მუზარადის“ ტურნირი (17.00, 23.00, 0.00).

**ქ. თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის კომპლექსური სპორტული სკოლის დირექტორი ელდარ ფარჯანაძე და ამავე სკოლის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს ბერძნულ-რომაულ-ჭიდაობაში, საქართველოს სპორტის დამსახურებულ მუშაკს ვილიამ ხარაზოვს დედის გარდაცვალების გამო.**



# კროსვორდი № 42

**თარაზულად:** 1. სპორტული ასპარეზობის შედეგი, 3. პორტუგალიის ახლანდელი ნაკრების ფეხბურთელი — ნახევარმცველი, 5. ირლანდიელი ფეხბურთელი „ლიდსისა“ და ნაკრების ნახევარმცველი, 7. ჩეხეთის საფეხბურთო კლუბი, 8. ცნობილი საბჭოთა სიმაღლეზე მხტომელი, 10. მისალმება კარატეში, 11. ძალოსნობის იარაღი, 14. საქართველოს მძლეოსანი ქალი წარსულში ხნიკინა — ..., 15. ინგლისელი ფეხბურთელი, 16. ფინური აბანო, 17. ჩეხი ფეხბურთელი, 18. ინგლისელი ფეხბურთელი ლი..., ნაკრების თავდამსხმელი, 19. ქართველი მოკრივე — ოლიმპიური პრიზიორი, 20. იტალიის ფეხბურთელთა ნაკრების თავდამსხმელი.

**შვეულად:** 2. შეჯიბრების, რბოლის მონაკვეთი, 3. პარტია ჩოგბურთში, 4. კრივსა და ბობსლეიში ოლიმპიური ჩემპიონი (აშშ), 6. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი, 7. ჩეხეთის საფეხბურთო კლუბი, 9. თბილისის „დინამოს“ ვეტერანი, ბერძნული წარმოშობის ფეხბურთელი, 12. მოსკოვის „ტორპედოს“ საბჭოთა დროინდელი კაპიტანი, 13. ბაკურიანის მიმდებარე ტერიტორია, 15. ინგლისის საფეხბურთო კლუბი.

## კროსვორდი №41. პასუხები

**თარაზულად:** 1. გოგობერიშვილი, 8. ლიპსო, 9. დანია, 10. ირბი, 12. თავლა, 13. ორძელი, 15. ნენე, 17. „ლიდსი“, 19. „როდა“, 20. ანა, 21. რაული, 22. იაშვილი.

**შვეულად:** 1. გაზდელიანი, 2. ეში, 3. „ვილი“, 4. ლიპარტელიანი, 5. ზონინი, 6. კიკნაძე, 7. ტალი, 11. „ბრედა“, 14. ბლანი, 16. ნუნუ, 18. დანი, 19. როი.

# საჭადრაკო ამოცანა

ი. ანტონოვი



შამათი 2 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:

1. მფe2! 1. ...მფa4 2. მc3X.
1. ...მფ:c4 2. ლd3X:
1. ...მფ:a6 2. მ:c7X.
1. ...მფ:c6 2. ლe8X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე